

## კონტცეპტი და კონტექსტი

ადამიანი ცოდნისა და უნარების აქტიურ ათვისებას ბავშვობის ასაკიდან იწყებს. ამ მხრივ განსაკუთრებული ნაყოფიერებით სკოლაში სწავლის პერიოდი გამოირჩევა. ამიტომ თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამებისთვის უმთავრესი სწავლის პროცესზე ზუსტად მორგებული მეთოდების მიგნება და გამოყენებაა.

საგანმანათლებლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სწავლების საძირკვლად მოსწავლის არსებული ცოდნის გამოვლენა და მის საფუძველზე ახლის აგება უნდა იქცეს.

**ცოდნის აგების პროცესში** მოსწავლეები ერთმანეთთან აკავშირებენ კონკრეტულ ცნებებს, საგნებს და მოვლენებს. ეს ოპერაცია ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, **მოახდინოს გარემოს კლასიფიკაცია (კონცეპტუალიზაცია).**

**კონცეპტი ანუ ცნება** არის მსგავსი საგნების, მოცემული ცნების კატეგორიის დამახასიათებელი ნიშნების და მოვლენების (პრეცეპტი) დაჯგუფება ან ზოგადი ნიშნების ასახვა. ეს ნიშნები მოიცავს განმსაზღვრელ, არსებით თვისებებს (თვისებებს, რომლებიც ცნების კატეგორიის ყველა წევრს გააჩნია) და თანაფარდლოთ თვისებებს (თვისებებს, რომლებიც ცნების მხოლოდ ზოგიერთ მაგალითს ახასიათებს).

მაგალითად, **ცნება „ერის“ დამახასიათებელი ზოგადი ნიშნებია:**

- ადამიანთა მყარი ერთობა
- საერთო ენა
- კულტურა
- ტრადიცია
- გარკვეული ტერიტორია.

ერის **თანაფარდლობითი თვისებაა** მისი რაოდენობრივი მანვენებელი: ზოგი დიდია, ზოგი-პატარა.

ახალი ცნების ეფექტური შესწავლისათვის მოსწავლეებს ბევრი ისეთი მაგალითი უნდა მივაწოდოთ, რომელიც ცნების მთელ **კატეგორიას** მოიცავს.

მაგალითად, ისეთი **ცნება, როგორცაა „ანტიკური ხანა“** გულისხმობს, საზოგადოებრივი ცნობიერების, რელიგიის, მითოლოგიის, ფილოსოფიის, მეცნიერებათა, ხელოვნების და სხვ. ისტორიული ფორმების ერთობლიობას წინა აზიის, ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ქვეყნებში; ხოლო ცნების – „ანტიკური ხანა“ – **თანაფარდლობითი მნიშვნელობაა** – დრო, პერიოდი ძვ.წ. 1000 წლიდან ახ.წ. 500 წლამდე.

ასევე, მაგალითად, ცნება **„ისტორიკოსი“** გულისხმობს სპეციალისტს, რომელიც მოიძიებს, ახასიათებს, აკრიტიკებს, მსჯელობს, იკვლევს, ადარებს, აჯგუფებს, აანალიზებს, აფასებს საზოგადოებრივ მოვლენებს. ამავდროულად, მასში მოიაზრება კონკრეტულად ანტიკური პერიოდის ისტორიკოსები, შუა საუკუნეების ისტორიოგრაფები, ახალი დროის მკვლევარები, ამერიკის, აზია-აფრიკის, ევროპის ისტორიის სპეციალისტები და სხვ.

სწავლებისას კარგად უნდა გვექონდეს გააზრებული იმ ცნებათა მნიშვნელობა, რომლის გამოყენებასაც ვაპირებთ. უფრო მეტიც, **ისტორიის მასწავლებელმა** შეიძლება იცოდეს, რომ კონკრეტული პერიოდი უნდა ასწავლოს, მაგრამ უჭირდეს იმ ცნებების მოძიება, რომლებიც მოსწავლეებს ამ პერიოდის უკეთ გაანალიზებაში

დაეხმარებოდა, რადგან კონკრეტულ სფეროებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების მოძიება ყოველთვის ადვილი არ არის.

რა ცნებებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება მასწავლებელმა, როცა იგი ახასიათებს, მაგალითად, ისტორიული შემეცნების საშუალებებს? რა ეფექტური ხერხები გამოიყენოს, როგორ აათვისებინოს, დაასწავლოს ეს ცნებები მოსწავლეს?

**ცნებების დაუფლების** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია იმის სწავლა, თუ როგორ არის ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებული, ორგანიზებული. ძირითადი ცნებების გარშემო ცოდნის ორგანიზება კი ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან თუ ინფორმაცია გონებაში ცნებების გარშემოა დალაგებული, არ ჭირს მისი გახსენება/გამოყენება. შესაბამისად, მასწავლებელს გაკვეთილზე გაუდვილდება მასალის ახსნა/გადაცემა და მოსწავლეებს – წარმატების მიღწევა.


მაგრამ ცნება მნიშვნელობას ცოდნით მდიდარ კონტექსტში იძენს. შესაბამისად, მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რას გულისხმობს თითოეული ცნება. მაგალითად, კონკრეტულ შემთხვევაში, ისტორიული შემეცნების საშუალებებზე საუბრისას, მასწავლებელმა უნდა გამოყოს ის ძირითადი ცნებები, მახასიათებლები, კატეგორიები, რაც იგულისხმება ისტორიული შემეცნების საშუალებებში და ეს ყოველივე უნდა გაააზრებინოს შესაფერის კონტექსტში.

## ცნება – წყარო

- ზოგადი, ფართო განსაზღვრებით ისტორიული შემეცნების საშუალება არის წყარო. იგი ისტორიის საშენი მასალაა და მის გარეშე ისტორიის აღდგენა შეუძლებელია. უმთავრესი „საშენი მასალა“ კი არის წერილობითი წყარო, რომელიც ფორმისა და შინაარსის მიხედვით იყოფა სხვადასხვა ნაწილებად: ნარატიული (თხრობითი) თხზულებები, ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერები), დიპლომატიკური ანუ სააქტო წყაროები და სხვ.
- ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ისტორიული წყაროები იხსენიებიან მათი სახეობრივი დასახელებების მიხედვით, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტულიც არის – „ცხოვრება“, „წამება“, „ქება“, „გუჯარი“, „სიგელი“, „საბუთი“, „ნაშთი“, „ძეგლი“, „მასალა“, „დოკუმენტი“.
- „წყარო“ როგორც ცნება, კატეგორია, არის თანამედროვის მიერ დაწერილი მატიანე, ისტორიული საბუთი, სამართლის ძეგლი ან ეპიგრაფიკული მასალა, რომელზე დაყრდნობითაც აღვადგენთ წარსულის ისტორიულ სურათს.
- მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის წყაროებს, წყაროთმცოდნეობა ჰქვია.

ცნების ორგანიზება, მოწესრიგება, კოდირების სისტემის საფუძველზე ხდება, რომელიც ძირითადად სქემების სახით გამოიყენება. ამ გზით გადმოცემული მასალა უკეთ აღსაქმელია, უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საგანზე ან ობიექტზე, მოვლენაზე.

მაგალითად, როცა ვასწავლით წყაროს განსაზღვრებას, მასწავლებელმა ამ საკითხის ირგვლივ არსებული ცნებები სქემის ანუ კოდირების სისტემის საფუძველზე შემდეგნაირად შეიძლება წარმოადგინოს:



მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, აქვთ თუ არა მოსწავლეებს სათანადო სქემები, საკუთარი გონებრივი წარმოდგენები იმისათვის, რომ მასალა კარგად გაიგონ, ანუ მათ უნდა შეძლონ, განსაზღვრონ ისტორიული ცნებების მნიშვნელობა მასალის შესწავლის დროს (პრეცეპტი).

მაგრამ მოსწავლეებს შეიძლება არ გააჩნდეთ საჭირო ცოდნა, ამიტომ მასწავლებელი მათ ჯერ სათანადო სქემების ჩამოყალიბებაში უნდა დაეხმაროს მათ და მხოლოდ ამის შემდეგ ახსნას ახალი მასალა; კონკრეტული მაგალითების შესწავლის შედეგად კი მოსწავლეებს შეეძლებათ ზოგადი ცნებების და პრინციპების ჩამოყალიბება.

როგორც ზოგადად სწავლა არ შეიძლება იყოს შინაარსიდან მოწყვეტილი, ასევე სწავლებისას ვერც ცნებას გავააზრებინებთ კონტექსტის გარეშე და ვერც კონტექსტს ავუხსნით ცნების გაუაზრებლად. შესაბამისად, იმისათვის რომ მოსწავლემ უკეთ აითვისოს და გაიაზროს ეს საკითხები, შევთავაზოთ რამდენიმე ნიმუში:

## დავალება: „წერილობითი ისტორიული წყაროები“ – ცნება/კონტექსტი:

### 1. განვიხილოთ ქვემოთმოყვანილი წყაროები:

#### წყარო ა – ნარატიული (თხრობითი) თხზულებები

#### ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) ლაზების შესახებ:

„ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც ბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომიერ მეტად ქადმადლობენ, შესაძლებელია, არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომების სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით“.

#### წყარო ბ – ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერები)

#### ანუხვის (გუდაუთის რაიონი) ტაძრის გიორგი ბასილის ძის საამშენებლო წარწერა (XI საუკუნე):

„სახელითა ღმრთისაითა, აღვაშენე ჯუარი ესე სახელსა ზედა ღმრთისა მამისა, ძისა სულისა წმიდისა მე, გიორგი ბასილის ძემან. აწ, ვინცა ევედრებოდეთ, ჩუენ გ(სამნივე) ძმანი ლოცვასა მოგუიხსენეთ; ამენ. იყავნ.“

#### წყარო გ – ისტორიული დოკუმენტები

#### საქართველოს მეფის გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) სიგელი საქართველოს ეკლესიისადმი:

„ქ. სახელითა ღმრთისაითა გიორგისაგან ბაგრატუნისა ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშიაი, და შაჰანშიაი და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელისა“.

„სადიდებლად ღმრთეებისა მისისად და კეთილად დაცვისათუის მეფობისა ჩუენისა და სულიერად ხსნისათვის სატანჯველთაისა, მოვიგონეთ ეკლესიათა სამეფოისა ჩუენისათა ყოვლისა ბეგარისა უსამართლოისა და დაჭირებულისაგან ხსნაი და განთავისუფლებაი“.

#### წყარო დ – სამართლის ძეგლები

#### ხელმწიფის კარის გარიგება. XIII-XIV სს.

„ამირსპასალარი საპატიო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა; და უმისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების; და პატივი მისი და მანდატურთუხუცესისა სწორი არის, და ესეც იქნების, რომე ორივე ერთსა ქონდეს“.

2. რაზე მოგვითხრობენ ზემომოყვანილი წყაროები? \_\_\_\_\_

3. გამოყავით მათი საერთო, დამახასიათებელი ნიშნები: \_\_\_\_\_

ნარატიული (თხრობითი) თხზულებები  
 ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერები)  
 ისტორიული დოკუმენტები  
 სამართლის ძეგლები

4. მოყვანილი მაგალითების საფუძველზე ისაუბრეთ, რას ნიშნავს წერილობითი ისტორიული წყარო, რა დანიშნულება აქვს მას ისტორიის შესწავლაში? \_\_\_\_\_

5. განსაზღვრეთ, რა საკითხებს განიხილავს წყაროთმცოდნეობა? \_\_\_\_\_

6. რა გაიგეთ ცნებისა და კონტექსტის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ? \_\_\_\_\_

7. გააგრძელეთ ზემოთ შემოთავაზებული მაგალითის კოდირება: \_\_\_\_\_

დავალების შესრულების შემდეგ, ცნებისა და კონცეპტის ურთიერთმიმართების დადგენით და გავარჯიშებით, მოსწავლეს ხელთ ვაძლევთ იმ უმნიშვნელოვანეს გასაღებს, რომლითაც მას აღარ გაუჭირდება ისტორიული მასალის დალაგება და აგება, მათი ცოდნა გაცილებით დინამიური გახდება და წარმატებით შეძლებენ ისტორიულ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობას.

ისტორიული მასალების გააზრების და დასწავლის გზაზე უმნიშვნელოვანესია არა მარტო ცნება/კონტექსტის როგორც კატეგორიის დადგენა, არამედ კონტექსტი/ცნების მიმართების განსაზღვრაც, ანუ კონტექსტის გადაქცევა ცნებად, კონტექსტიდან ცნების გამოყოფა.


**წყარო ე:**

**ვახუშტი ბაგრატიონი და ეპიგრაფიკული ძეგლები:**

„არასადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძვირფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თვინიერ: „ჩუენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან“, რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა“.

- ე და ბ წყაროებზე დაყრდნობით გამოყავით ეპიგრაფიკული ძეგლების დამახასიათებელი ნიშნები;

- ე და ბ წყაროებზე დაყრდნობით განსაზღვრეთ ცნება „ეპიგრაფიკა“;



- დააკავშირეთ ცნებები - „ისტორიული წერილობითი წყარო“ და „ეპიგრაფიკა“

ისტორიული წერილობითი წყარო	ისტორიული წერილობითი წყარო და ეპიგრაფიკა	ეპიგრაფიკა
-----		-----

შემოთავაზებული მსგავსი მაგალითების საფუძველზე მოსწავლე ამ დავალებასაც გაართმევს თავს და წერილობითი ისტორიული წყაროების შინაარსის და ფორმის გააზრების შემდეგ, შეძლებს განსაზღვროს, რას ნიშნავს ცნება „ისტორიული წერილობითი წყარო“:

წერილობითი წყაროები შინაარსის და ფორმის მიხედვით იყოფიან:	----- ----- -----
ცნება - ისტორიული წერილობითი წყარო	-----

**სწავლის პროცესში მოსწავლე თავად ქმნის საკუთარ ვერსიას რეალობის შესახებ, არსის შესახებ, სასწავლო პროგრამების და მასწავლებლების მიერ შეთავაზებული მეთოდების დანიშნულება კი უნდა იყოს საამისოდ ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც გაუადვილებენ მოსწავლეებს ამ დამოკიდებულებების აღმოჩენას.**

როგორც ვხედავთ, ისტორიის სწავლებისას კონცეპტის და კონტექსტის ეფექტურად გამოყენება/შესწავლა მოსწავლისათვის კიდევ ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევის შექმნა იქმნება ცოდნის აგების გზაზე.